პროლეტარეაო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 19 ნოემბერი № 273 (16703) ფასი 2 კაპ. 1976

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გახსნება დღეს, 19 ნოემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 19 ნოემბერს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

18 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი. პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაციები: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ე. მ. ჯაფარიძისა — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ; საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. შ. ა. ანანიაშვილისა — საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. მ. ხინობა, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მექანიკოსი ზეინკალი ამხ. ვ. მ. გონჩაროვი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. ს. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბ. დ. მახარაშვილი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ამხ. რ. ჰ. კოტეცელიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ი. ბ. გვერდწითელი, საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბ. ხ. ჯიქია, საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ნ. ა. ჟვანია, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. დ. რუხაძე, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ამხ. ე. ს. ციბამუა, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შ. დ. ცაგარეიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ვ. გ. ბაძრაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის პრობლემების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ამხ. ვ. მ. ოკუჯავა, ბოლნისის რაიონის ფახრალოს საბჭოთა მეურნეობის მეთამბაქოე ამხ. ტ. მ. ტანრივერდიევა, საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ვ. ბურჯანაძე, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ა. უტიაშვილი, საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ი. ბ. გამრეკელი.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. ი. ქედიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. ბ. ა. ანდრონიკაშვილი.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ნ. ბ. ჩერქეზიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. ა. დ. ალექსიძე.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ო. დ. ქინქლაძე.

ამხ. ნ. ბ. ჩერქეზიშვილი დამტკიცებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორად. (საქინფორმი).

მთელი ძალები, ენერგია და შემოქმედება მოვახმაროთ ხუთწლედის წარმატებებისათვის ბრძოლის საქმეს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან

სკკპ XXV ყრილობის შემდეგ განვლილი ეს მცირე დრო, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნა, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მილიონობით ადამიანის გამოცდილებათ, ცხოვრებისეული პრაქტიკათ დავრწმუნებულიყავით, თუ რაოდენ ღრმად არის დახასიათებული პარტიის გადაწყვეტილებანი.

პარტიულ გადაწყვეტილებათა ეს ღრმა დასახასიათება კვლავ ცხადყვეს ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა, შემდეგ კი სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ, რომელიც პლენუმის დამთავრებისთანავე გაიმართა.

პლენუმმა განიხილა და ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და შეიტანა ისინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმან, რომ მის დასწყისშივე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიც გაშუქებულია სკკპ XXV ყრილობის შემდეგ პარტიისა და ხალხის მეშაობის დადებული შედეგები, განსაზღვრულია ყრილობის გადაწყვეტილებათა შემდგომი რეალიზაციის მორიგი ამოცანები.

ამხანაგ ბრეჟნევის ყველა გამოსვლაში ღრმად არის დამუშავებული თანამედროვეობის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ოქტომბრის გამოსვლას განსაკუთრებული თავისებურებანი, განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს. მასში მოცემულია მეათე ხუთწლიანი გეგმის ვრცელი დახასიათება პოლიტიკური თვალსაზრისით, იმის თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება ეს გეგმა პარტიულ დებულებებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების საქმეში.

ამ სიტყვის მნიშვნელობა ის არის, რომ მასში შემუშავებულია სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების ყველაზე ეფექტიანი ტაქტიკა, გამოვლენილი და ზუსტად მოხაზულია მუშაობის გადამწყვეტი უბნები, გამოყოფილია ხუთწლიანი და წლიური გეგმების ის საკვანძო ადგილები, რომლებიც პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უმეტეს ყურადღებას, პარტიისა და ხალხის ძალების უმეტეს კონცენტრაციას მოითხოვს.

სიტყვაში მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ვრცელი პანორამა, დასაბუთებულია პარტიისა და სახელმწიფოს მორიგი ამოცანები საგარეო-პოლიტიკურ დარგში, მშვიდობისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის შემდგომ ბრძოლაში.

დაახასიათა რა ყრილობის შემდეგ განვლილი დრო, ლეონიდ ილიას-ძემ მოკლედ, საფუძვლიანად, უაღრესად ლაკონიურად და მკაფიოდ გააშუქა პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების პროცესის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობა პარტიის XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიური პროგრამისა და საგარეო-პოლიტიკური კურსის რეალიზაციისათვის, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა განაცხადეს:

საქართველოს პარტორგანიზაცია ყოველთვის, უპირველეს მხარს ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას, მთლიანად და სავსებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას.

მთელი საბჭოთა ხალხი, ხოლო მასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომელსაც ასე პრინციპულად და თანამიმდევრულად ახორციელებენ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, მხურვალედ უჭერენ მხარს ისტორიულ აქციებს, რომლებიც მშვიდობისა და პროგრესის საქმეს, სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებას ემსახურება. საბჭოთა ხალხი და საქართველოს მშრომელები ჭეშმარიტად პარტიულ, ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივ ზრუნვას იჩენენ ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების ეკონომიური საძირკვლის განმტკიცებისათვის. დღეს ყველა იმის ღრმა გაგებით, მკაფიო შეგნებით შრომობს, რომ მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება საბჭოთა ადამიანების დიდი წვლილი იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში, რომლის სადარაჯოზე ფხიზლად დგანან ჩვენი მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალები, და მათ რიგებში — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სახელგანთქმული მეომრები.

მეათე ხუთწლედი მთელი პარტიის საქმე, მთელი ჩვენი ქვეყნის საქმე, მთელი ხალხის საქმეა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი სავსებით შეესაბამება სკკპ XXV ყრილობის დებულებებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაამტკიცა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტის ძირითად კონცეფციას საფუძვლად უდევს რესპუბლიკის საერთო ეკონომიური და ინდუსტრიული პოტენციალის ზრდის დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, საშუალო საკავშირო დონისაგან მისი სამეურნეო განვითარების შედარებითი ჩამორჩენის თანდათან შემცირების ბაზაზე.

წარმატებით რომ შეესრულოთ მეათე ხუთწლედისათვის გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის განვითარების პროგრამა, ამისათვის გადაჭრით უნდა აგამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი ეკონომიკის ყველა რგოლში. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტის უნდა მოხმარდეს ყველა სამინისტროსა და უწყების, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მეცადინეობა.

წარმოების ეფექტიანობის მთავარი შემადგენელი ნაწილი — შრომის ნაყოფიერება — რესპუბლიკის მრეწველობაში მეცხრე ხუთწლედში გაიზარდა 31 პროცენტით. ახალ ხუთწლედში იგი უნდა გადიდდეს 33 პროცენტით, რაც უთუოდ წარმოების ინტენსიფიკაციის შემდგომ გაღრმავებას, მისი ტექნიკური დონის ამაღლებასა და საწარმოო ფონდების მაქსიმალურ დატვირთვას მოითხოვს.

შრომის ნაყოფიერების ზრდა, როგორც მრეწველობაში, ისე, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში, კვლავ ჩამორჩება ამ დარგების ფონდაღჭურვილობის ზრდის ტემპს. ეს კი მეტყველებს, რომ ჩვენში ცუდად იყენებენ არსებულ ძირითად ფონდებს, ჯერ კიდევ საკმარისად არ არის დატვირთული სიმძლავრეები.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს ბრძოლა მკაცრი მოვალეობრივობის რეჟიმისათვის ყველა საწარმოში, ყოველ სამუშაო ადგილას.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შრომის რაციონალურ გამოყენებას, სამუშაო დროის დაზოგვას, კადრების დენადობის შემცირებას, შრომითი კოლექტივების სტაბილიზაციას.

პლენუმის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს რესპუბლიკის ბევრი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანის პირველი წარმატებანი, რომლებიც მომ-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

შრომითი გმირობით შევხვდეთ საახალწლოვან იუბილეს—დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს!

კარგი თაოსნობა

ყვარლისა და ზუგდიდის რაიონების მექანიზატორებმა გადაწყვიტეს

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადწყვეტილებებს, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მეათე ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა-ვალდებულებების შესრულებაში. მეჩაიეობის ისტორიაში პირველად დამზადდა 356 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მიღებულია მარცვლეულის რეკორდული მოსავალი, კარგად იმუშავეს მეციტრუსეებმა, მეხილეებმა, მებოსტნეებმა, მეკარტოფილეებმა. ბევრი რამ გაკეთდა მომდინარე წლის წარმატებით დამთავრებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის დავალებათა შესრულებისათვის.

ახლა საჭიროა წელიწადი დამკვრელურად დავამთავროთ, მიღწეული განვმტკიცოთ და მთელი ძალ-ონე იმას მოვახმაროთ, რომ წარმატებით დაგვწყოთ მეათე ხუთწლედის მეორე წელი.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადწყვეტილებებს, ღრმაშინაარსიან, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის დიდი ზრუნვით გამსჭვალულ სიტყვას, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა პლენუმზე. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი სახელოვანი გამარჯვებებით აღნიშნონ სახელოვანი იუბილე — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი.

1977 წლის მოსავლისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული ყვარელსა და ზუგდიდში გამართული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების მექანიზატორთა კრებების მონაწილეთა გამოსვლები.

მხარი დაუჭირეს რა ბაზკორეთის, ივანოვოსა და ცალინოგორადის ოლქების მექანიზატორთა და შემკეთებელ მუშათა ინიციატივას, კრებების მონაწილეებმა იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რათა ვადამდე და მაღალხარისხოვნად მოამზადონ ტექნიკა მომავალი წლის მინდვრის სამუშაოებისათვის და ამაღლონ მისი გამოყენების ეფექტიანობა. მათ რესპუბლიკის ყველა მექანიზატორს მოუწოდეს ვადამდე მოამზადონ ტექნიკა, რათა სოფლის მშრომელებს დაეხმარონ ხუთწლედის მეორე წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმა-ვალდებულებების შესრულებაში.

კრება ყვარელში გახსნა პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ურჯუმელაშვილმა. აქ გამოვიდნენ ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი მ. კულიჭანოვი, ენილოს საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინერი ს. კალმახელიძე, პარტიის ყვარლის რაიკომის მეორე მდივანი ი. მოლაშვილი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე დ. სარიშვილი და სხვები.

ზუგდიდში კრება გახსნა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ. შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ სოფელ რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. თოდუა, სოფელ კახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯ. გუგუჩია, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მმართველი ს. ბეჭვაია, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ბ. გიგაშვილი, „საქსოფლტექნიკის“ რემონტისა და ტექნიკური მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ბ. რაბინოვიჩი და სხვები.

ყვარლელ მექანიზატორთა ვალდებულებანი

იანვრის დამლევისათვის შეაკეთონ ყველა ტრაქტორი;

1 თებერვლამდე მოამზადონ მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;

10 თებერვლამდე დაამთავრონ სასხურებლების, წნეხ-აკრებების რემონტი;

5 მარტამდე დაამთავრონ კომბაინებისა და სხვა მოსავლის ასაღები ტექნიკის რემონტი;

მანქანა-ტრაქტორთა პარკის მზადყოფნის კოეფიციენტი გაადიდონ 96 პროცენტამდე.

მომავალი წლის დამდეგისათვის მოამზადონ 200 ტრაქტორისტი, კვალიფიკაცია აუმაღლონ მექანიზატორთა კადრების 50 პროცენტს, რათა უზრუნველყონ ტექნიკის არა ცვლად მუშაობა;

7 ნოემბრისათვის შეასრულონ ყველა მექანიზებული სამუშაო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

დაზოგონ ნორმაზე სამი პროცენტით მეტი საწვავ-საპოხი მასალები;

უზრუნველყონ ყველა მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შენახვა დადგენილი სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით;

უზრუნველყონ მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურება, რაც 1,2 პროცენტით გაადიდებს მათს მწარმოებლობას გეგმასთან შედარებით;

შექმნან ერთწლოვანი კულტურების მოგლა-მოყვანის კომპლექსურ-მექანიზებული რგოლები;

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე შემოზიდონ და შეიტანონ ნიადაგში მინერალური სასუქები.

უფრო მაღალი ვალდებულებანი იკისრეს „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების კოლექტივმა, რომელიც სრულ ტექნიკურ მომსახურებას უწევს რაიონის ყველა კოლმეურნეობას, ენილოსა და გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებმა, ახალსოფლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის კოლექტივმა.

ზუგდიდელ მექანიზატორთა ვალდებულებანი

1976 წლის 20 დეკემბრისათვის შეასრულონ ტრაქტორების შეკეთების IV კვარტალის გეგმა:

1 თებერვლისათვის გაამზადონ რაიონის მთელი მანქანა-ტრაქტორთა პარკი;

1 აპრილისათვის დაამთავრონ ყველა ჩაის საკრეფი მანქანის რემონტი;

ყოველი შეკეთებული ტრაქტორი მიაღებინონ სპეციალურ კომისიას საგარანტიო პასპორტით.

პრაქტიკაში შემოიღონ მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის მზადყოფნის ურთიერთშემოწმება;

„საქსოფლტექნიკის“ სახელოსნოში ჩაის საკრეფი მანქანების შეკეთების დროს გაადიდონ შეკეთების შემდგომი რეს ეფექტი ისე, რომ ახლის 80 პროცენტს შეადგენდეს;

დაკომპლექტონ ტექნიკური გასაცვლელი ბუნქტები საჭირო შეკეთებული კვანძებითა და აგრეგატებით, რათა უზრუნველყონ მანქანა-ტრაქტორთა პარკის შეუფერხებელი მუშაობა.

1977 წელს განახორციელონ ყველა მემანქანე ტრაქტორისტის გადამზადება და ატესტაცია, რათა უკვე იმავე წელს მათს 55-60 პროცენტს ჰქონდეს 1-2 კლასი;

გაადიდონ თვითეული საეტალონო ტრაქტორის გამომუშავება 85 პირობითი ჰექტარით;

1,5-ჯერ აამაღლონ მცირე მექანიზაციის დონე მეჩაიეობაში;

ნორმასთან შედარებით სამი პროცენტით დაზოგონ საწვავ-საპოხი მასალები;

აამაღლონ მექანიზაციის დონე მეცხოველეობაში 15 პროცენტით, ხოლო საკვებმოპოვებაში 30 პროცენტით. (საქინფორმი).

19 ნოემბერი სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეა

უმაღლესი, მრიხანე ტექნიკა ჩაბარა ხამშობლომ მერაკეტე და არტილერიტ მეომრებს. მისი უნარიანი მართვა მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვისაც მტკიცე ცოდნა აქვს, ვინც ყოველმხრივ გაწვრთნილია. ეს ფოტოსურათები ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქშია გადაღებული. (ზემოთ): ბატარეის უფროსი, კაპიტანი თამაზ ჭკადუა, რომლის ქვეგანაყოფი მოწინავეა ნაწილში. ქვემოთ — ხაზინტო ხარაკეტო დანადგარი ხასწავლო ხვლაზე.

ვ. აბულაძისა და შ. კაკაბაძის ფოტო.





მთელი ძალები, ენერგია და შემოქმედება მოვახმაროთ ხუთწლედის წარმაჯებებისათვის ბრძოლის საქმეს!

(მაგრძელება)

ზადებული შეხვდნენ ახალი ხუთწლედის დაწყებას.

დადებით მაგალითად დასახელეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი, სადაც შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ფართოდ გაშლილი ბრძოლის შედეგად მიეცხრი ხუთწლედის უკანასკნელი სამი წლის მანძილზე შესამჩნევად გაიზარდა მთლიანი პროდუქციი და ფონდუკუგება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. გამოცდილთა რიცხვი ოთხჯერ შემცირდა, ზეგანაკვეთური სამუშაოები — თითქმის ორჯერ, ხოლო მოშახელის დენადობა — 22 პროცენტით.

ამოცანა ის არის, რომ კვლავაც გავაღრმავოთ, გავაფართოოთ და დავაკონკრეტოთ საყოველთაოსახალხო მოძრაობა მტკიცე პარტიული, სახელმწიფო, შრომის, საგაგმო, ფინანსური, ტექნოლოგიური და სახელშეკრულებო დისციპლინისათვის. ესეც ადგრთვე ჩვენი ზრდის ერთ-ერთი მთავარი რეზერვია, აღნიშნეს პლენუმის მონაწილეებმა.

ბეჯითად უნდა ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი, განვამტკიცოთ ხარისხის დისციპლინა, როგორც ამას თბილისის „მიკროძრავის“ ქარხანა აღწევს. აქ ხარისხისშნაინი პროდუქციი წილს 72 პროცენტს შეადგენს 1974 წლის 15 პროცენტთან შედარებით.

ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავითვალოთ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს, რომ მოაწყონ და უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრების, ინოვაციურ მოძრაობის, ინტენსიურ-ტექნიკური მუშაკი მონაწილეობს.

მაგრამ სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელი არ იყენებს მთლიანად სოციალისტური შეჯიბრების მძლავრ ძალას საგაგმო დავალებების გადაჭარბებით შესრულების, პროდუქციის გამოშვების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში. პლენუმზე მოიყვანეს მაგალითები, როცა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ფორმალური, ზერელე, შაბლონური მიდგომის გამო რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები და უწყებები ვერ ასრულებენ გეგმებსა და ნაკისრ გალდებულებებს, უაღრესად დაბალია მათი მუშაობის ეკონომიური მაჩვენებლები.

ეს საკითხი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების უაღრესად გულმოდგინე ყურადღების საგანი უნდა გახდეს.

ზოგიერთი ჩვენი პარტიული კომიტეტი სათავეში არ ჩაუდგა ბრძოლას პროდუქციის კარგი ხარისხისათვის და განსაკუთრებულ პარტიულ კონტროლს არ დაუქვემდებარა ეს საქმე.

როგორც აღგილობრივი, ისე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში ბევრი უატესტაციო პროდუქცია დაგროვდა. მისმა ხვედრითმა წონამ წლის პირველი ნახევრის მანძილზე რესპუბლიკაში 10,8 პროცენტს მიაღწია.

რესპუბლიკაში არ წყდება ამკარად წუნიანი, უხარისხო პროდუქციის წარმოებისა და მომზადებლისათვის თავსმოხვევის მავნე პრაქტიკა, მაშინ როცა ბევრი ასეთი პროდუქციი უნდა ამოვიღოთ ბრუნვიდან.

ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საერთო ამოცანიდან გამომდინარე, პლენუმის მონაწილენი განსაკუთრებით შეეხნენ კაპიტალური მშენებლობის პრობლემებს. მათ აღნიშნეს, რომ 1977 წელი რესპუბლიკის მშენებლებისათვის დაძაბული იქნება. მისი პროგრამის შესრულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შესრულდება ხუთწლედის პირველი წლის გეგმები. ამავე დროს, 10 თვის საგეგმო დავალებანი ვერ შესრულდა კაპიტალური მშენებლობის ვერც ერთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, რის შედეგად ამ დარგში მტკიცე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა.

კაპიტალურ მშენებლობაში შექმნილი მდგომარეობის მიზეზი ბევრია, მათ შორის არის ობიექტური მიზეზებიც. მაგრამ არის ბევრი არსებითი ნაკლი, რომელთა აღმოფხვრა შეგვიძლია, განაცხადეს პლენუმის მონაწილეებმა.

პლენუმმა გამოსულებმა თქვეს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სამშენებლო კონვეიერის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციების თვითეული მშენებელი კომუნისტის როლის ამაღლებას. მშენებლებს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ ეს დახმარება ზიდმეტ, წვრილმან მეურვეობად არ უნდა გადაიქცეოთ ხოლმე. მშენებლები იმდენად მიეჩვეინენ ასეთ დახმარებას, რომ ირეთუ იშვიათად ცდილობენ საკუთარი ნაკლოვანებებისათვის პასუხისმგებლობა „მეურვეებს“ დაკისრონ, სამეურნეო საკითხები პარტიულ ორგანოებს გადაწყვეტინონ. ეს სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების, ზოგიერთ ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

ამასთან დაკავშირებით პლენუმზე ასეთი მაგალითი მოიყვანეს: თბილისში, სრულიად სამართლიანად, შეიქმნა სამინაო მშენებლობის შტაბი, რომელსაც პარტიის საქალაქო კომიტეტი ხელმძღვანელობს. ამ შტაბმა უნდა წარმართოს და კონტროლი გაუწიოს სამინაო მშენებლობას, დაეხმაროს სხვადასხვა რთული საკითხის გადაწყვეტაში. მაგრამ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ, რომელიც სიხარულით შეხვდა ამ შტაბის შექმნას, სასურველია გადაწყვიტა მისთვის სამინაო მშენებლობის ხელმძღვანელობის თითქმის ყველა ფუნქცია, თვით ისეთი საკითხების გადაწყვეტაც კი, დაეკისრებინა, რომლებიც სამინისტროს დაქვემდებარებული ტრესტებისა და სამმართველოების კომპეტენციაში შედის. ცხადია, თვითდამშვიდების ასეთი პრაქტიკა უნდა დაგმოთ.

ცუდად არის კაპიტალური მშენებლობის საქმე ოფხაზეთში. იგი ქრონიკულად ჩამორჩება. მეცხრე ხუთწლედში აქ დაახლოებით 70 მილიონი მანეთი კაპიტალური ოაბანდება ვერ აითვისეს, რაც ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახსრების მეხუთედს შეადგენს. აღლანდელ ხუთწლედში ავტონომიური რესპუბლიკის მოთხოვნილებასა და მშენებელთა შესაძლებლობებს შორის სხვაობა კიდევ უფრო მატულობს. ეიგმის შესაბამისად, მეათე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდების მოცულობა თითქმის ერთიორად იზრდება. მაგრამ ამ ეკგმის არა აქვს შექმნილი სათანადო ბაზა. ძირითადი მოიჯარე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, რომელზეც, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებული კაპიტალური მშენებლობის ეკგმების შესრულების ბედი, წელს უკეთ არ უძღვება საქმეს, ვიდრე შარშან. და აი გამოდის, რომ ეკგმები იზრდება. მათი შესრულების ტემპი კი კლებულობს. ამასთანავე, როგორც პლენუმზე თქვა, სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის ბეჭერი ნაკლი იმის შედეგია, რომ აიტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მას.

მშენებლობაში ეფექტიანობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაოლების ღონისძიებანი, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დასახა, მეტად ნელა ხორციელდება.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ მშენებლობაში საქმე კარგად მიდის იქ, სადაც პარტიული კომიტეტები აქტიურად მუშაობენ ამ საკითხებზე. ამის მკაფიო მაგალითია რუსთავის საქალაქო კომიტეტის მუშაობა.

უფრო ღრმად სწვდებიან სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობას და კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობა გააძლიერეს პარტიის თბილისის, ფოთის, ზუგდიდის, გაგრის, ჭიათურის საქალაქო კომიტეტებმა, მესტიის, ზესტაფონის და სხვა რაიკომებმა.

ამასთანავე პარტიის მეტ წილ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს კაპიტალური მშენებლობა ჯერ კიდევ არ მიაჩნიათ თავიანთ ერთ-ერთ მთავარ და ძირითად ამოცანად.

პლენუმმა სერიოზული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ კაპიტალური მშენებლობის შესახებ პარტიის XXV ყრილობის მითითებათა კონკრეტულ განხორციელებას სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად სათავეში უნდა ჩაუდგნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები.

რესპუბლიკის მგეგმავებმა, დამპროექტებლებმა, მომმართველებმა, მშენებლებმა, მემონტაჟეებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა მთავარი ძალები, უწინარეს ყოვლისა, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობათა შესამცირებლად უნდა წარმართონ. ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მთელ მთავარ რესურსებს თავი მოეუყაროთ უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ, მშენებლობებზე.

რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა და საწარმოებმა საჭიროა, რადაც უნდა დაუჯდეთ, უზრუნველყონ, რომ წლის დამლევამდე მაქსიმალურად ამოქმედდეს საწარმო და არასაწარმო დანიშნულების ძირითადი ფონდები.

მეტისმეტად დაძაბული ვითარება იქმნება საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. სპბინაო მშენებლობის წლიური პროგრამის შესასრულებლად დარჩენილ დროში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 344 ათასი კვადრატული მეტრი, ათვისებულ იქნეს თითქმის 38 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება, ხოლო ნაკისრ ვალდებულებებს თუ გავთვალისწინებთ, — ეს მოცულობანი კიდევ უფრო მეტია.

პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს იმ ობიექტების მშენებლობის უპირველესი მნიშვნელობაც, რომლებიც შემდგომ სოციალურ განვითარებასა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას უკავშირდება.

რესპუბლიკაში დასახული სამშენებლო სამეშაოთა პროგრამის მთლიანად შესრულებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა რესურსი, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი. ეს არის, მაგალითად, შრომის ნაყოფიერების გადიდება როგორც გაცდენებისა და მოცდენების შემცირების გზით, ისე შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაციისა და ხელის შრომის შემცირების გზითაც.

და ბოლოს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციები მწყობრად, რიტმულად მუშაობდნენ, თავი დაადწიონ „იერიშობანას“.

მშენებლობა — სახალხო მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი — თვითეული კომუნისტის, თვითეული პარტიული და სამეურნეო მუშაკის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, უპირველესი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე უნდა გახდეს.

ხუთწლედის მეორე დიდმნშვნელოვანი ამოცანა, როგორც ეს ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, სახალხო მეურნეობის ისეთი საბაზო დარგების ეფექტიანობის ამაღლებაა, როგორიც არის მომპოვებელი მრეწველობა, ენერგეტიკა და მეტალურგია.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ამ დარგების განვითარებას უთმობს, რადგან დღევანდელი და, მით უმეტეს, ხვალინდელი ეკონომიკის უზარმაზარი მასშტაბი სულ უფრო დიდი მოცულობით მოითხოვს ნედლეულს, სათბობს, ელექტროენერგიას, ლითონს. და თუ მოთხოვნილებები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე რესურსები, მასასადამე, საჭიროა ერთდროულად დავინახოთ ორი მიზანი: ჯერ ერთი, დავიცვათ მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი, მეორე, გავადიდოთ ელექტროენერგიის, ნავთობის, ქვანახშირის, ლითონის წარმოება.

მეათე ხუთწლედში საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარებას სერიოზული ყურადღება ეთმობა. და ეს საშუალებას მოგვცემს რამდენადმე დავძლიოთ რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისაგან.

ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადადგას წყნეთ ნაგობმომპოვებელმა მრეწველობამ, რომელიც ბოლო წლებში სწრაფი ტემპით ვითარდება.

სათბობი რესურსების მომჭირნეობის ერთ-ერთი რეალური გზაა წაღისეული თბოენერგიის ფართო გამოყენება. საქართველოს თერმული წყლების მდიდარ მარაგს ფართოდ გამოვიყენებთ ბანაობიდან, ცხელი წყალმომარაგებისათვის, ტექნოლოგიურ პროცესებში. სოფლის მეურნეობაში, სადაც შეგვიძლია შევქმნათ 600 ჰექტარი საერთო ფართობის სასათბურე მეურნეობანი და 1000 ჰექტარი დათბუნებული გრუნტი. უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში გეოთერმულ თბომომარაგებაზე შევძლებთ გადავიყვანოთ ისეთი დიდი ქალაქები, როგორიც არის თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ზუგდიდი და სხვები, რაც ყოველწლიურად 2 მილიონ ტონა პირობით სათბობს და რამდენიმე მილიონ კუბურ მეტრ სასმელ და ტექნიკურ წყალს დაგვიზოგავს.

ფართო პერსპექტივები ისახება მეათე ხუთწლედში მეტალურგიული მრეწველობის წინაშე, სადაც გაიზრდება როგორც ფერადი, ისე შავი მეტალურგიის მთლიანი პროდუქცია.

ლითონის დიდი მომხმარებელია მანქანათმშენებლობა, რომლის პროდუქცია მეათე ხუთწლედში ერთ-ნახევარჯერ და მეტად იზრდება, თანაც დასახულია უპირატესი ტემპით განვითარდეს არალითონტევადი დარგები — მაგალითად, ხელსაწყოთმშენებლობა.

დავზოგოთ ყველგან, დავზოგოთ დიდსა და მცირეში — ასეთი დევიზით უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ამავე დროს, ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები ეფექტიანად არ იბრძვიან ლითონების გამოყენების კოეფიციენტის ამაღლებისათვის. ამის შედეგად არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა შავი ლითონის მნიშვნელოვანი რაოდენობა იკარგება, ჯართად და ბურბუშელად იქცევა. ზოგიერთ ამხანაგს ავიწყდება სრულიად მარტივი და ცხობილი ჭეშმარიტება — დაზოგილი მასალებით შეგვიძლია ბევრი დამატებითი პროდუქცია მივიღოთ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მეათე ხუთწლედში „ბ“ ჯგუფის დარგების განვითარებას. ბევრი რამ გაკეთდება საწარმოთა ტექნიკური განახლებისათვის, დიდმწარმოებლური ჩარხებითა და მანქანებით მათი აღჭურვისათვის.

კიდევ უფრო განვითარდება ქვების მრეწველობა. მთლიანი პროდუქციის მოცულობა ქვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით ხუთწლედის დამლევისათვის 2,7 მილიარდ მანეთამდე გაიზრდება, ზრდის ტემპი 136 პროცენტს შეადგენს. ხორციცა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით წარმოების მოცულობა გადიდდება 41,2 პროცენტით, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს ხაზით — 42,5 პროცენტით.

1980 წლისათვის გაფართოვდება ძირითად სახეობათა ნედლეულის გადამუშავების ტექნიკური ბაზა, მათ შორის — ჩაის ფოთლისა სულ ცოტა 355-360 ათას ტონამდე, ყურძნისა — 650-700 ათას ტონამდე, ხილ-კენკრის ნედლეულისა — 600-650 ათას ტონამდე და ციტრუსებისა — დაახლოებით 110-120 ათას ტონამდე.

აგგილობრივ მრეწველობაში წარმოების ზრდა შეადგენს 45 პროცენტს. აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის გამოშვებას.

იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას მრეწველობისა და მშენებლობის დარგში, შეიძლება მხოლოდ დამატებითი რეზერვების დაბეჯითებითი და გულმოდგინე ძიების საფუძველზე. ეს დღევანდელი დღის მთავარი პრობლემაა, ეს დღეს უპირველესი ამოცანაა, ხაზგასმით აღნიშნავდნენ პლენუმის მონაწილენი.

შინაგანი რეზერვების სერიოზული ძიება, მათი გამოყენების შესაძლებლობებისა და გზების ყოველმხრივი ანალიზი მუდამ აძლიერდა და კიდევაც მოგვცემს სასურველ შედეგებს.

ამას მოწმობს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივის მაგალითი, რომელმაც გადაწყვიტა ხუთწლედის მეორე წელს გეგმის გადამეტებით 4 მილიონ წანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ დამატებითი პროდუქციის ხახეკარი გამოშვებული იქნება შინაგანი რეზერვების გამოყენების ხარჯზე, შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, დამატებითი ვალდებულებანი იკისრეს ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმაც. მოწონებას იმსახურებს გაერთიანება „საქნავთობში“ შექმნილი შინაგანი რეზერვების გამოვლინების მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის შედეგები. ამ კომისიამ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ არის საგსებით რეალური შესაძლებლობა 1977 წელს ნავთობის ამოღება გეგმასთან შედარებით 500 ათასი ტონით გავადიდოთ.

რეზერვებს, რომლებიც საგრძნობ ეფექტს იძლევა, დაუცხრომლად ეძებენ თბილისის ფოლადფოჯსამსხმელო ქარხნისა და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, გაერთიანება „საქელექტრომანქანისა“ და ბევრ სხვა საწარმოთა კოლექტივები.

ამავე დროს, მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელები ცუდად ავლენენ ღრმა რეზერვებს, არ ეძებენ სამრეწველო წარმოების მოცულობათა გადიდების დამატებითს შესაძლებლობებს, რომლებიც შეიძლება და უნდა ჩავაყენოთ კიდევ სახალხო მეურნეობის სამსახურში. მნიშვნელოვანი შინაგანი რეზერვები არის ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანაში. დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული რეზერვების ძიების საქმე საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისგადამშავებელი მრეწველობის სამინისტროში.

აგგილობრივი პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ და წარმართონ საყოველთაო ბრძოლა რეზერვების გამოვლინებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თვითეულ საწარმოში, თვითეულ საწარმოო უბანზე, ჩააყენონ ეს რეზერვები წარმოების სამსახურში.

პლენუმზე მკაცრად გაკრიტიკეს ის ხელმძღვანელები, რომლებიც ცდილობენ თავისთვის შემცირებული ვეგმები დაამტკიცებინონ, შემდეგ კი კისრულობენ და იოლადაც ასრულებენ ვალდებულებებს, და მერე გმირებად, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად მოაქვთ თავი.

ПЛАНАРАЗЕ რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პერსპექტივებსა და დასახული პროგრამის განხორციელების ამოცანებზე, პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს არსებული შესაძლებლობანი და ფარული რეზერვები თვითეული კულტურის მიხედვით.

მეჩაიეობის წყალობით საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში. წელს მივაღწიეთ მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლის მიჯნას — მოვკიფეთ 356 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ახლა გათვალისწინებულია 1980 წელს მოვკრიფოთ 380-400 ათასი ტონა ნედლეული. ასეთი დონის მიღწევას ჩვენ შეეძლებთ მხოლოდ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მეოხებით — დარგის თანამიმდევრული ინტენსიფიკაციის, ქიმიზაციისა და მელიორაციის ფართო გამოყენების, მექანიზაციის მაღალმწარმოებლური საშუალებებით მწკი დაჩარებული აღებურვის გზით.

გაცილებით უფრო რთული მდგომარეობაა მევეხახეობაში. მიმდინარე წლის ფრიად არახელსაყრელმა ამინდის პირობებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ეკონომიკას.

დასავლეთ საქართველოს მევეხახეთა ენერგიული და თავდადებული შრომის მეოხებით ამ სეზონში შეეძლოთ რამდენადმე აგვენაზღაურებინა ზარალი და ქართლის ვენახებისათვის მიყენებული ზარალი. ეს დასტურებს იმ ფაქტს, რომ დასავლეთ საქართველოში დიდი რეზერვები გვაქვს, რომლებიც მეათე ხუთწლედში აუცილებლად უნდა ავამოქმედოთ.

იმისათვის, რომ შემდგომ წლებში ანაზღაურონ მიმდინარე წლის ზარალი, ჩვენმა მევეხახეებმა მკვეთრად უნდა გაუჯობესონ ვენახების მოვლა, ისე უნდა მოიქცნენ, რომ სტაქიური უბედურების შედეგად დაკარგული ყოველი კილოგრამი ყურძენი ხუთწლედის შემდგომ წლებში მოსავლიანობის გადიდების გზით დაიბრუნონთ. ეს ჩვენი მევეხახეების, მევეხახეობის რაიონების ყველა მშრომელის საპატიო მოვალეობაა.

თვისებრივი ცვლილებები ბერიოდი დადგა ახლა საქართველოს მეხილეობაში, რომელსაც დღემდე წარმოების ექსტენსიური მეთოდები ახასიათებდა. ახლა მიმდინარეობს დარგის ინტენსიფიკაცია და სამრეწველო საფუძველზე მისი გადაყვანა.

წლევანდელი უამინდობის მიუხედავად, ციტრუსების მოსავალს ცოდი პირი არ უჩანს: აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, ჩვენმა მეციტრეებმა ბეჭითება იკისრეს ახალი ვალდებულებანი — დაამზადონ 130 ათასი ტონა ნაყოფი. ახლა ბევრი რამ იქნება დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „ციკავშირს“, მეციტრუსეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების, რაიონული ორგანოების ოპერატიულ მუშაობაზე. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ უზრუნველყოთ მეურნეობათა მზადყოფნა მოსავლის კრეფისათვის, დროულად და უდანაკარგოდ მოვკრიფოთ ნაყოფი. მეციტრუსეებმა ბეჭითად უნდა იშრომონ, რომ ხუთწლედის დამლევისათვის ციტრუსების დამზადების მოცულობა 180 ათას ტონამდე გაადიდონ. ასეთ ზრდას უნდა მივაღწიოთ საზოგადოებრივ სექტორში ციტრუსების წარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ბაღებიბისა მოსავლიანობის გადიდების გზით.

როცა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდის რეზერვებს შეეხნენ, პლენუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ჩაისა და ციტრუსის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციის საკითხებს. ამ საკითხის გადაწყვეტა დამატებით შესაძლებლობას მოგვცემს, რომ გავზარდოთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა და ციტრუსების წარმოება. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩაისა და ციტრუსის პლანტაციების სიმეჩხრის შედეგად, მაგალითად, ქობულეთის რაიონში ყოველწლიურად 800 ტონით ნაკლებ ჩაის ფოთოლსა და 900 ტონით ნაკლებ ციტრუსის ნაყოფს იღებენ. უფრო მეტიც, 2600 ჰექტარი ციტრუსის ბაღებიდან, რომლებიც საზოგადოებრივ მეურნეობებს ეკუთვნის, სულ ერთ-ოროსა-ოროლა ოთხოლა 1.011 ჰექტარი.

გურჯაანის რაიონის მეურნეობებში ვენახების სიმეჩხრე 1700 ჰექტარს შეადგენს, რის გამოც 10 ათასი ტონა ყურძენი გვაკლდება. გურჯაანელებმა გადაწყვიტეს უკვე მომავალი წლის დამლევისათვის მინიმუმამდე შეამცირონ სიმეჩხრე. ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ფართომეწკრიალიანი და მაღალშტამბიანი ვენახების გაშენებასთან.

წლეულს კარგად იმუშავეს ჩვენმა მხვნელ-მთესველებმაც. უკვე აღებულია 200,5 ათასი ჰექტარი მარცვლეული და სამარცვლე-პარკოსანი კულტურები, გალეწილია 442 ათას ტონაზე მეტი. საშუალოდ ჰექტარზე მოწეულია 22 ცენტნერი მარცვლეული ბეგმით გათვალისწინებული 20,2 ცენტნერის ნაცვლად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდ ფართობზე — 42,3 ათას ჰექტარზე უნდა აიღონ სიმინდი, და იმის გამო, რომ მოსავალს კარგი პირი უჩანს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარცვლეულის წარმოების ბეგმა 661 ათასი ტონის ოდენობით შესრულდება.

იმისათვის, რომ მთელი მოსავალი საუკეთესო ვადებში და უთანაკარგოდ აკიღოთ, რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა და საასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სარიონული ორგანიზატორული მუშაობა უნდა გასწონ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა, რომელმაც შეიმუშავა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების განხორციელების ღონისძიებანი, მეათე ხუთწლედისათვის დასახა სოფლის მეურნეობის აღმავლობის უფრო ძალაბული პროგრამა, რომელმაც, კერძოდ, უფრო მაღალ მიჯნებს ნდა მიაღწიოს მეცხოველეობის პროდუქტებისა და საკვების წარმოებისა და დამზადებაში.

მაგრამ პრაქტიკას თავისი შესწორებები შემოაქვს, და დღეს ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შეგვიძლია უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევა, ამას მთელი დამაჯერებლობით მოწმობს ათი თვის შედეგები.

ამ ხნის მანძილზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოება. გადიდდა პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა. გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხის, აგრეთვე ფრინველის (მათ შორის მოქცეულის) რიცხვი. წარმატებით მიმდინარეობს მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა.

მაგრამ საჭიროა, რადაც უნდა დაგვიჯდეს ავამოქმედოთ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების უდიდესი ფარული რეზერვები და შესაძლებლობები, რომლებიც რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონს აქვს.

ასეთ რეზერვებად პლენუმზე დასახელეს საკვებმწარმოების ორგანიზაციის სრულყოფა, ჯიშთსანაშენე საქმისა და ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესება, პროდუქტიული პირუტყვის ჯოგისა და საჯიშე შემადგენლობის სტრუქტურის სრულყოფა. ხორცის წარმოების გადიდების უდიდესი რეზერვია სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის კონდიციისა და წონის ამაღლება და სხვ.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში უკვე ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის. კიდევ უფრო დიდი უახლოესი მომავლის გეგმები. მაგალითად, სამტრედიის რაიონში ეკონომიურად დასაბუთებულია სოფელ დიდი ჯიხაიშის ოთხი კოლმეურნეობის გაერთიანება ერთ მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობად. ამ კოლმეურნეობებში სამინდის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 16-18 ცენტნერს შეადგენს, სამაგიეროდ ნიადაგი თავისი სტრუქტურით, აგრეთვე მელიორაციის თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელია ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის.

ბოსტნეულის წარმოების გადიდების პრობლემას ამ რაიონში მეურნეობის ექსტენსიური განვითარების გზით კი არ წყვეტენ, არამედ ბოსტნეულის ფართობების სწორი შერჩევით, ჰექტარის მოსავლიანობის გადიდების გზით. ნაყოფიც გვაქვს: თუ მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს აქ 8.859 ტონა ბოსტნეული აწარმოეს, წელს უკვე წარმოებულია 20.257 ტონა ბოსტნეული. თუ 1971 წელს საშუალოდ ჰექტარზე 65,7 ცენტნერი ბოსტნეული მოიწიეს, მიმდინარე წელს მიღებულია 138, ხოლო ცალკეულ კოლმეურნეობებში 200-250 ცენტნერი ბოსტნეული. ამიტომ აქ განზრახული აქვთ მდინარე რიონის ჭალებში განლაგებულ მეურნეობებში, სადაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია ბოსტნეულისათვის, მაქსიმალურად აწარმოონ ბოსტნეული, სხვა მეურნეობებში კი მთავარი ყურადღება დაუთმონ მარცვლეულის წარმოებას, განსაკუთრებით მარტივი პირობიდან თესლით სიმინდის მიღებას.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცე პოზიცია შეიმუშავა საკარმიდამო ნაკვეთებზე პროდუქციის წარმოების პრინციპულად დიდმნიშვნელოვან საკითხში.

სახელმწიფო შესყიდვაში საზოგადოებრივი სექტორის ხვედრითი წონის მუდმივი ზრდის პირობებში, რესპუბლიკის ნიადაგ-კლიმატური პირობების თავისებურებათა გამო საკარმიდამო ნაკვეთებზე წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია თავის მნიშვნელობას არ დაკარგავს. პირიქით, ხელი უნდა შევუწყოთ იმას, რომ აღნიშნულ სექტორში ყოველწლიურად იზრდებოდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების სამეურნეო ამოცანის გადაჭრაში, ამ მიზნით შიძლებისდაგვარად გამოუყონ მინერალური სასუქები, ზნამეშიკატები, პირუტყვისა და ფრინველის საკვები, უზრუნველყონ მოსახლეობის კვალიფიციური დახმარება ტექნიკური, აგროტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების, ჯიშთსანაშენე საქმეში.

ამასთანავე, გაილაშქრა რა იმ ამხანაგების წინააღმდეგ, რომლებიც მოგვიწოდებდნენ ადმინისტრაციული მეთოდებით მთლიანად გაგვეედვნა პირადი სექტორი სოფლის მეურნეობაში, რასაც ამ სექტორის წილის მექანიკური შემცირება მოჰყვებოდა და, რაც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, შემცირდებოდა საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ-სამეურნეო ეტიკეტი, სოფლის კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი დარაზმა იმ მოვლენების, ის პირობების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ქმნიდა ჯიბის გასქელების შესაძლებლობებს, ხრწნიდა მერყევ ელემენტებს, წარმოშობდა პარაზიტიზმს სოფლად, ოფიციალურ ინსტიტუტებს ჩვენი სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს.

ეს პირობები, როგორც პლენუმზე თქვეს, დღესაც არ აღმოფხვრილა მთლიანად. საკმაოდ ხშირია ფაქტები, როცა რესპუბლიკის სპეციალიზაციურად განწყობილი მოქალაქეები. არ სჯერდებიან მაღალ სახელმწიფო შესასყიდ ფასებს და ცდილობენ დეფიციტური პროდუქცია ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრების, მათ შორის მოსკოვის, საკოლმეურნეო ბაზრებში გაყიდონ გაუმართლებლად მაღალ ფასად, რომელიც რამდენჯერმე აღემატება პროდუქციის თვითღირებულებას. ესეიგი პრაქტიკულად უშრომელი შემოსავალი გაიჩინონ.

ამჟამად ისეთი პირებისადმი

მთელი ძალები, ენერგია და შემოქმედება მოვახმაროთ ხუთწლედის წარმაჯებებისათვის ბრძოლის საქმეს!

(დასასრული)

ტექნიკური ბაზა. თუ არ გვექნება კავშირგაბმულობის ეფექტიანი და საიმედო საშუალებები, შეიძლება განიარაღდეს მართვის ავტომატური სისტემების დანერგვის პროცესი.

მაგალითად, საქართველოს სსრ კავების მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარება 400-მდე საწარმო, რომელთა ნაწილი საწარმო გაერთიანებათა შემადგენლობაში შედიდა. სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ ინფორმაციის ყოველდღიური მიღების მოგვარების ცდები პრაქტიკულად ამის გამო ჩაშალა, რომ არ არის მუდმივი და საიმედო კავშირი დარგის მართვის სხვადასხვა რგოლებს შორის. ამ დარგის საწარმოები სრულებით არ არიან დამაკმაყოფილებლად აღჭურვილი ორგანიზაციული და მცირე გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებებით, რის გამოც დოკუმენტაციის მნიშვნელოვან ნაწილს ხელით ამუშავებენ. სპარგალო-საბუღალტრო მუშაკების ნეგრითი წონა კი საწარმოთა სამმართველო პერსონალის საერთო რიცხვში მეტად დიდია.

განსელილ ხუთწლედში გარკვეული პოზიტიური ძვრები მოხდა ეკონომიკის მართვის სრულყოფისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის დარგში. უფრო კონკრეტული და საგნობრივი გახდა, ერთი მხრივ, რესპუბლიკური ხელმძღვანელი და საგეგმო ორგანოებისა და, მეორე მხრივ, სამეურნეო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ურთიერთმოქმედება. რესპუბლიკური პარტიული და საბჭოთა ორგანოები უფრო აქტიურ გაფლას იხდენენ დარგობრივი და ტერიტორიული გეგმების შედგენაზე. უფრო ზუსტად, ოპერატიულად და კომპეტენტურად წყდება ახლა დაგეგმვის ბევრი მიმდინარე საკითხი.

უკვე მესამე წელია ადგენენ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განვითარების კომპლექსურ გეგმებს.

დიდად ნაყოფიერად იშრომა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლექტივმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ხუთწლიანი გეგმის შესადგენად.

მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ სახალხო მეურნეობის კომპლექსური დაგეგმვის სათანადო დონეს, აღინიშნა პლენუმზე.

საგეგმო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებახი იმითაც აიხსნება, რომ საგეგმო ორგანოები ყოველთვის არ იჩენენ ჯეროვან ინიციატივას მუშაობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ამხახაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ სერიოზული გაუმჯობესება სჭირდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვას, და თქვა, რომ იგი გაცილებით უფრო მოქნილი უნდა იყოს, მგრძნობიარედ რეაგირებდეს მომხმარებელთა გემოვნებისა და მოთხოვნილებების შეცვლაზე. ჩვენში კი სახალხო მოხმარების საგნების წარმოების დაგეგმვაზე არსებითად არავინ არ მუშაობს.

საკმაოდ საფუძვლიანად არ მუშავდება შრომითი რესურსების ბალანსი.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მისი დარგობრივი განყოფილებანი ნაკლებ აურაფდებას უთმობენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლების ანალიზს.

არსებითი ნაკლოვანებებია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დაგეგმვაში.

ჯერ ისევ მეტად დაბალ დონეზეა საგეგმო-ეკონომიური მუშაობა სამინისტროებსა და უწყებებში, გაერთიანებებსა და საწარმოებში.

მეათე ხუთწლედის საგეგმო მაჩვენებლების წარმატებით შესრულებას ბევრად განსაზღვრავს ფულადი რესურსების გამოყოფილი ფონდების სწორი გამოყენება, მათი დროული და სრული მობილიზაცია, მიზანმიმართული განაწილება, ესე იგი რესპუბლიკის მთელი ფინანსური მეურნეობის მდგომარეობა. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მომმარაგებელ ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესების პრობლემებს.

უაღრესად გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ სამეურნეო ორგანოებში სახელმწიფო, საგეგმო, საფინანსო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის განსამტკიცებლად, უმაკაცრესი კონტროლი გავუწიოთ ყველა წესის, მოთხოვნისა და კანონის დაცვას.

ეფექტიანობისა და ხარისხიანობის ბრძოლა ნიშნავს, რომ თვითეული ხელმძღვანელი და სპეციალისტი მოვალეა ეფფლებოდეს მუშაობის ლენინური სტილს.

აი რატომ თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციას ხელი უნდა შეუწყოს მთელმა პარტიულ-ორგანიზაციულმა და იდეურ-პოლიტიკურმა მუშაობამ.

ამოცანა ის არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის იდეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მასალები გავაცნოთ თვითეულ კომუნისტს, ყველა პარტიულ ორგანიზაციას, უფროფოეს მასებს.

ეს არის კომუნისტების, ყველა მშრომელის აქტიურობის გადიდების რეზერვი, და ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უკვე გაიაღეს მუშაობა ამ რეზერვების მთლიანად ამოქმედებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, დოკუმენტებს, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა და მოიწონა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს მხურვალედ დაუჭირეს მხარი მუშებმა, კოლმეურნეებმა, ჩვენმა ინტელიგენციამ. ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გამდიდრდა, ახალი შინაარსი შეიძინა ეკონომიკის პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებმა და მეთოდებმა. შეიმუშავეთ რა ეკონომიური ცხოვრების დარგში მუშაობის სტილი და მეთოდები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტორგანიზაციის შესახებ ცნობილი დადგენილებების, სხვა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების საფუძველზე, ჩვენ, ხახს უსვამდნენ პლენუმზე, შევძელით უკუგვეგდო პასიურ შემსრულებელთა პოზიცია და აქტიურ შემოქმედებითს პოზიციას დავდგომოდთ; სწორედ ეს არის მომხდარი ცვლილებების მთავარი არსი.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში პარტიული ორგანიზაციების მუშაობა სულ უფრო და უფრო ეყრდნობა ყველაზე მთავარ ეკონომიურ ბერკეტებს, სოციალიზმის ობიექტური ეკონომიური კანონების გამოყენებას.

ახალ ხუთწლედში ლოგიკურად გრძელდება ეკონომიკის უფრო სწრაფი ტემპით განვითარების კურსი. ასეთივე ლოგიკა, მემკვიდრეობითობა საჭირო ა მთელ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობაში.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნავდნენ, რომ მეათე ხუთწლედი ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების დარგში ჩამორჩენის დაძლევისა და რესპუბლიკის მოწინავე პოზიციებზე გასვლის ხუთწლედი იქნება.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში დაგროვდა ჩამორჩენის დაძლევის გარკვეული გამოცდილება. პრაქტიკულად არ არსებობს პარტიის არცერთი რაიკომი, საქალაქო კომიტეტი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრისათვის არ მიეღწიოს მეურნეობის ხელმძღვანელობაში. დადებითი მაგალითების სახით პლენუმზე მოიყვანეს თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობა და, კერძოდ, საქარხნო რაიკომის, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის, სამტრედიის, გულრიფშის, წითელწყაროს, ახალციხის, სიღნაღის რაიკომების მუშაობა.

პლენუმის მუშაობა შეესაბამებოდა ზუსტად შემუშავებულ ამოცანას: ეძებეთ რეზერვები! პლენუმის წინ და მისი მუშაობის დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შრომითი კოლექტივებისგან, ცალკეული კომუნისტებისგან მიიღო დიდძალი სხვადასხვაგვარი, ღრმაშინაარსიანი წინადადებები, რომელთა მიზანია წარმოების რეზერვების გამოვლენა და გამოყენება. ბევრი საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენეს ცენტრალური კომიტეტის წევრებმაც, რომლებიც პლენუმზე მოვიდნენ კონკრეტული, საქმიანი მოსაზრებებით, გაანალიზებული რეკომენდაციებით, რჩევებით, შეეცადნენ ციფრებით წარმოესახათ გათვალისწინებული ეფექტი. ასეთი აქტიურობა მოწმობს, თუ რა ახლოს მიაქვს გულთან პლენუმის თვითეულ წევრს, ყველა კომუნისტს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანები. ყველა ეს მასალა გულდასმით გაანალიზებისა და შესწავლის ღირსია.

წარმოების მთელი რეზერვების გამოძებნა და გამოყენება უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა ხდება. ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მთელი არსენალი უნდა მოვახმაროთ ამ საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანის გადაჭრას და მივაღწიოთ წარმატებას.

რესპუბლიკის მშრომელთა საერთო წარმატებებში, რომლებიც განვლილ ხუთწლედში და მიმდინარე ხუთწლედის პირველ წელს არის მიღწეული, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კომკავშირელებმა, ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა. პრაქტიკულად არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელშიც ბეჯითად არ მუშაობდეს ახალგაზრდობა, რომელიც წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ლაშქრობაში ჩაება.

ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა მაღალ მწვერვალებს მიაღწიეს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ სოფლის მეურნეობაში, კაპიტალურ მშენებლობაში, სამრეწველო წარმოებაში ახალი რეზერვების გამოსაძებნად. ჯერ კიდევ ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას არ გარდაუქმნია მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

ჩვენ, უეჭველია, მოგვეპოვება იმისათვის საჭირო მთელი რესურსები, რომ პირნათლად შეასრულოთ ხუთწლედის პასუხსაგები დავალებანი, ამბობდნენ პლენუმის მონაწილენი. და ეს, უწინარეს ყოვლისა, არიან პრაქტიკული მუშაობის მდიდარი გამოცდილებით და თეორიული ცოდნით აღჭურვილი ჩვენი შესანიშნავი ადამიანები, ჩვენი კადრები. ეს არის ჩვენი გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, სპეციალისტები, მეცნიერული, ტექნიკური, მხატვრული ინტელიგენცია.

მაგრამ ჩვენი შესანიშნავი ადამიანების ყველა დიდი ღირსება, აღნიშნავდნენ პლენუმზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუტანს სარგებლობას საქმეს, თუ შეძლებთ განვახორციელოთ სწორი საკადრო პოლიტიკა, თუ შეძლებთ ისე მოვაწყოთ საქმე, რომ თვითეული სპეციალისტი ძალების მაქსიმალური დაძაბვით მუშაობდეს, თუ თვითეულ კოლექტივში მაღალი მომთხოვნელობისა და შემოქმედებითი შემართების ვითარებას შევქმნით, მაქსიმალურად განვამტკიცებთ პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შეფუშავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების, ნეგატიური მოვლენების სრული და უოუო ლაძლვის კურსის თანმიმდევრული განხორციელებისათვის, რომელსაც მზურვალედ დაუჭირეს მხარი მშრომელთა ფართო მასებმა. ეკამისოდ შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება და მიხდობილი საქმისათვის თვითეულის პასუხისმგებლობის გაძლიერება, ესე იგი ყველა იმ მოთხოვნისა და ამოცანების განხორციელება, რომლებიც ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება აქტუალური ამოცანაა იმიტომაც, რომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველა და ყველგან ვერ განკურნა ახლო წარსულიდან მემკვიდრეობად მიღებული ისეთი ავადმყოფობებისაგან, როგორიცაა ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება, ფორმალიზმი, ორაპერატიულობა და დოყლაპიობა, უპასუხისმგებლობა და თავის დაზღვევა. ეს ავადმყოფობანი მორალურ და ეკონომიურ ზარალს აყენებენ საზოგადოებას. ჩვენს დროში, როცა ყოველნაირად ვიხალისებთ ინიციატივას, შემოქმედებასა და გერგილიანობას, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის კონსერვატორად მონათვლა. ზოგზოგებს თავი ისე უჭირავთ, თითქოს აქტიურად მოღვაწეობდნენ. მაგრამ ასეთი „მოღვაწეებს“ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ საერთო საქმისათვის. პირიქით, ისინი, რაღაც დრომოქმედ ინსტრუქციებს ამოფარებულნი ხშირად აფერხებენ კარგ საქმეებს.

ახლანდელ ეტაპზე, როცა საჭიროა ძალ-ღონის განსაკუთრებული დაძაბვა ყველა ხელმძღვანელი რგოლის მუშაობაში — დაწყებული პირველადი პარტორგანიზაციიდან, რაიკომებით, პარტიის საქალაქო კომიტეტებით, ობლასკომებით, და დამთავრებული ცენტრალური კომიტეტით, მინისტრთა საბჭოთი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმით — პარტიის მიერ დაკისრებული სამუშაო უბნისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ამის შესაბამისად უნდა წარმართოთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა რწმენა, რომ მთელი ჩვენი ლენინური პარტია, მთელი ხალხი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს შეეგებება ახალი შრომითი მიღწევებით, ახალი შრომითი საგმირო საქმეებით კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი ფრონტის ყველა უბანზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის მონაწილეებმა კომუნისტების, რესპუბლიკის ყველა შრომელის სახელით აღუთქვეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევს, რომ საქართველოს კომპარტია, მთელი ჩვენი ხალხი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეულად აღნიშნონ ეს სახელოვანი თარიღი, თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მეათე ხუთწლედის დიდებული პროგრამის განხორციელებაში, პირნათლად შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ყველაფერი, რაც კეთდება და გაკეთდება საბჭოთა საქართველოში, რესპუბლიკური პარტორგანიზაციაში, შეერწყმის საბჭოთა ქვეყნის შრომას, ქვეყნისა, რომელიც თავის მე-60 წლისთავს ეგებება.

(საქინფორმი).

ფაქტები, პროგლემები

საკავშირო ინფორმაციის ბიულეტენი

18 ნოემბერი

თანამშრომლობისა და მშვიდობის საკითხებზე

უცხოეთის პრესა იუგოსლავიაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტის შესახებ

ბელგრადი. როგორც იუგოსლავური გაზეთები წერენ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში მიმდინარეობდა გულითად და გულთბილ ვითარებაში, გულახდილობისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროში. იუგოსლავიის პრესაში ეს ვიზიტი კვლავ მთავარ თემად რჩება, მას ეძღვნება საინფორმაციო მასალები, კომენტარი.

გაზეთი „ბორბა“ სათაურით „იზრდება გულახდილი და ამოწურავი გაზიარება“ წერს, რომ ვიზიტის დღეებში „აიმართა ნაყოფიერი აზრთა გაზიარება იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირის ორმხრივ ურთიერთობასა და თანამშრომლობაზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე“.

ი. ბროზ ტიტოსა და ლ. ი. ბრეჟნევის ახლანდელი მოლაპარაკებიც, ისევე როგორც მათი წინანდელი შეხვედრები და საუბრები, წერს გაზეთი „ვეჩერნი ლიტი“, უთუოდ ახალ იმპულსს მიანიჭებს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობის გაფართოებასა და გამდიდრებას. ეს შეხვედრები სასიკეთო გავლენას მოახდენს აგრეთვე თანამშრომლობასა და პარტიების ურთიერთობაზე საგარეო პოლიტიკის დარგში, სადაც აგრეთვე კარგი შედეგებია მიღწეული.

სარაევოს გაზეთი „ოსლობოდჟენე“ კომენტარში აღნიშნავს, რომ იუგოსლავიაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტი იუგოსლავიაში მეგუთვნება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მოვლენებს.

ჩვენ გვახარებს ვიზიტი და გულითადად, დიდი პატივისცემით შევხვდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და მის თანმხლებ საბჭოთა ამხანაგებს, განაცხადა იუგოსლავ კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ბ. შილეგოვიჩმა ჟურნალისტებთან საუბარში. ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ გამართული მოლაპარაკებით, რომლის დროსაც განიხილეს როგორც ორმხრივი ურთიერთობა, ისე ევროპასა და მთელ მსოფლიოში კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხები, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო განვითარების პრობლემები. ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში მიღწეულ დონეს,

ჩვენი ურთიერთობა, აღნიშნა ბოლოს ბ. შილეგოვიჩმა, სცილდება ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს და დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

ბერლინი. როგორც გაზეთი „ბერლინერ �ეიტუნგი“ აღნიშნავს, ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ბროზ ტიტოს მოლაპარაკებმა მეტყველებს, რომ მტკიცე საფუძველი აქვს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მეგობრობის შემდგომ განვითარებას.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნოიეს დეიჩლანდი“ ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ბროზ ტიტოს გუშინდელ საუბარზე გამოქვეყნებულ მასალაში წერს, რომ საუბრის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავ კომუნისტთა კავშირის თანამშრომლობის განვითარება მტკიცე საფუძველს წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

პარიზი. გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ბელგრადში გამართულ ოფიციალურ ვახშამზე წარმოთქმულ სიტყვებში ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ბროზ ტიტომ ერთსულოვნად დაადასტურეს, რომ ისწრაფვიან ორივე ქვეყნის ურთიერთობა განვითარონ სრული თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და ჩაურევლობის საფუძველზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა წერს გაზეთი, თავის სიტყვაში გამოაცხადა დასავლეთის პროპაგანდის მონაჩმახი იუგოსლავიასთან ურთიერთობაში საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ. გაზეთს მოაყვანს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები იმის შესახებ, რომ ასეთი ზღაპრების ავტორებს ამსოლუტურად არ ესმით ის პრინციპები, რომლებზეც სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაა დაფუძნებული.

ტანიუგი. მადაგასკარის რადიო, რომელიც ფართოდ აშუქებს ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში, აღნიშნავს, რომ ორი მოძმე ქვეყნების ურთიერთობა ეფუძნება ტანსაღრეკ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხელი მოაწერა ერთობლივ დეკლარაციას, ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ამ ორ ქვეყნის ურთიერთობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემისა და ჩაურევლობის საფუძველზე

მწერლის მოვალეობა

ახალგაზრდა მწერლების „მრგვალი მაგიდა“

საქართველოს დედაქალაქი სსრ კავშირის და რუმინეთის ახალგაზრდა მწერლების თემოქმედებითი შეხვედრის ადგილი გახდა. „მრგვალ მაგიდასთან“ გაიმართა საუბარი თემაზე „მწერლის საზოგადოებრივი მოწოდება“. იგი მიმდინარეობს სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და რუმინეთის მწერალთა კავშირის თანამშრომლების გეგმის შესაბამისად. ოქტომბერში ბუქარესტში გაიმართა ორი ქვეყნის ახალგაზრდა დრამატურგთა შეხვედრა.

თბილისში „მრგვალი მაგიდის“ მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ მწერლები რუმინეთიდან. ჯგუფის შემადგენლობაში არიან იოანა დიაკონესკუ (ხელმძღვანელი), პროზაიკოსები — მთავრგნესელები რადუ მარეი, ჰანს ლობბერი, ბელა იანკუ, კრიტიკოსები მირჩა მარტინი, ვალერიუ კრისტეა, პოეტი ნიკოლაე იოანა.

საბჭოთა კავშირის მხრივ ამ შეხვედრაში მონაწილეობენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები ნ. დუმბაძე, და ი. ონნეშვილი, პოეტები ლ. ფოცხიშვილი, ჯ. ჩარკვიანი, ნ. კილასონია, ო. შალამბერიძე, თ. ერისთავი, მწერალი ა. გეწაძე, კრიტიკოსები გ. გვერდწითელი, ჯ. თითმერია, ზ. აბზიანიძე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის კონსულტანტი რუმინეთის ლიტერატურის საკითხებზე ლ. დოლგომევა, საქართველოს მწერალთა კავშირის საზღვარგარეთის განყოფილების გამგე დ. კახაბერი და სხვები.

განსნა რა შეხვედრა, პოეტი ი. ონნეშვილი გულთბილად მიესალმა მომე რუმინეთის ახალგაზრდა წარმოგზავნილებს და აღნიშნა, რომ რუმინელ და ქართველ ლიტერატორებს დიდი ხნის ნაყოფიერი მეგობრობა აკავშირებს. ეს მეგობრობა დაწყებული ალბათ ივერიანეს დროიდან, კიდევ უფრო განვითარდა ჩვენს დროში.

ი. ონნეშვილმა სტუმრებს აცნობა, რომ საქართველოში გამოსაცემად მზადდება „რუმინული პოეზიის ანთოლოგია“ პოეტ ო. შალამბერიძის თარგმანით. გამოიცემა დუმიტრუ იონას ლექსები. პოეტი მ. ფოცხიშვილი დასაბეჭდად ამზადებს ლუჩიან ბლაგის ლექსთა კრებულს. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ფ. ჯინჯიხაშვილმა და დუმიტრუ იონამ თარგმნეს ბესიკის ლექსები, რომლებიც გამოიცემა რუმინეთში. ფ. ჯინჯიხაშვილმა დასაბეჭდად მოამზადა წიგნი „რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ რუმინულ ენაზე თარგმანების ანალიზი“. გაიმართა „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეთა შინაარსიანი საუბარი. საბჭოთა და რუმინული ლიტერატურის დასმული პრობლემებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი როლისა და მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში რუმინეთისა და საქართველოს მწერლებმა და კრიტიკოსებმა.

— კონტაქტები, შემოქმედებითი შეხვედრები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რუმინელ მწერალთა ჯგუფის ხელმძღვანელმა პოეტმა ქალმა იოანა დიაკონესკუმ. — სამსახურს უწევენ ჩვენს მეგობრობასა და ლიტერატურების ძმობას. ჩვენ გამოსაცემად ვამზადებთ „ქართული პროზის ანთოლოგიას“ მწერალ მარჩელა პეტრიჩობას თარგმნით. ბუქარესტმი გამოდის ავრეთვე დუმიტრუ იონას „წიგნი საქართველოზე“ — პოეტური მოთხრობა საქართველოს თვითმყოფადი და ძველი კულტურისა და ლიტერატურის, მისი შრომისმოყვარე და ნიჭიერი ადამიანების შესახებ.

რუმინელ და ქართველ მწერალთა საუბარი „მრგვალ მაგიდასთან“ გაგრძელდა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში. ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა სტუმრებს უამბო ამ ახალგაზრდული გამოცემის, მისი ავტორების, ჟურნალის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. (საქინფორმი).

* * *

სურათზე: საბჭოთა კავშირის და რუმინეთის ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი შეხვედრა თემაზე: „მწერლის საზოგადოებრივი მოვალეობა“.

ხ. თევზაძის ფოტო. (ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვ. ქარსელაძის მემორიალი

ბუნდოვანი ცხრილი

მეცხრე ტურის შემდეგ რაიმე არსებითი ცვლილება ლიდერთა ჯგუფში არ მომხდარა. შეიმჩნევა მხოლოდ ერთი რამ: პირველი პრიზის ერთ-ერთი პოტენციური პრეტენდენტი თ. გიორგაძე შეჯიბრების პირველ ნახევარში როგორღაც ულიმღამოდ თამაშობდა და სატურნირო ცხრილში „ჩაიძირა“. ახლა კი თამაზს აშკარად „შთაგონება მოუვიდა“. მან ორი პარტია მოიგო, ერთიც უჯეოს პოზიციაში გადადო და გათამაშების ერთ-ერთი ლიდერიც გახდა. ბოკუჩავასთან შეხვედრამდე გიორგაძემ კარგად გამოიყენა თეთრი მეფის საფარის დასუსტება და მოიგო. ვურგენიძე-სტურუას შეხვედრაში ჭაბუკი მოჭადრაკე ორმხრივ ციტნტრში მტკიცედ თამაშობდა და ახლა გადადებულ პოზიციაში თანაბარი შესაძლებლობები აქვს. ანიკაევმა შავებით მძიმე პოზიცია მიიღო მიქაძესთან. ძნელი სათქმელია, სად შეცდა მიქაძე, მაგრამ მალე მისი უპირატესობიდან აღარაფერი დარჩა. რა თქმა უნდა, აქ ანიკაევის შეუპოვრობამაც დიდი როლი ითამაშა და პარტია ყაიმით დასრულდა.

კიდევ ერთი „მოკლემეტრაჟიანი ყაიმი“ აღინიშნა ზაიჩიკ-ჯანოევის პარტიაში, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ჯანოევი უკვე რამდენიმე წლის მანძილზე წვრთნის ახალგაზრდა ოსტატს და, უბრალოდ რომ ვთქვათ, არ მოისურვა მასთან ბრძოლა. რა თქმა უნდა, ისეთი ცნობილი დიდოსტატისთვის, როგორიც ჯანმნინა, ქულათა 50 პროცენტი არ შეიძლება კარგ მაჩვენებლად ჩაითვალოს. ამჯერად იგი შეუჯაფრად იბრძოდა შავებით უბილავასთან. პარტია გადაიდო. დიდოსტატს ზედმეტი ხარისხი აქვს, მაგრამ წინ ჯერ კიდევ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

გუშინ მეათე ტურში გიორგაძე-გურგენიძე, გედევანიშვილი-ბოკუჩავა, ლუტიკოვი-ჩიქოვანი და მიხალჩინინი-ანიკაევი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გ. ბამრეკელი.

ფეხბურთის ამბები

გაიმარჯა მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩები ფეხბურთში. რომში იტალიის ნაკრებმა ინგლისის გუნდი, ლისაბონში დანიის ნაკრებმა წააგო პორტუგალიასთან — 0:1, საფრანგეთის გუნდმა პარიზში სძლია ირლანდიელებს — 2:0, მოტლანდიელებმა გლაზგოში — უელსელებს — 1:0, ხოლო დრეზდენში გდრ-ისა და თურქეთის გუნდებმა ითამაშეს ფრედ — 1:1.

მსოფლიოს ჩემპიონმა ფეხბურთში გფრ-ის ნაკრებმა ჰაიფეოენში გამართულ ამხანაგურ მატჩში 60 ათასი მაყურებლის თანდასწრებით დაამარცხა ევროპის ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 2:0. ბურთები გაიტანეს ფლოვერ და ბეერმა. საინტერესოა, რომ ეს ჩეხოსლოვაკიელ ფეხბურთელთა პირველი დამარცხებაა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, ანუ 24 წაუგებელი მატჩების სერიის შემდეგ.

ლენინგრადში გაიხსნა სპორტულ თამაშობათა სასახლე, რომელსაც აქვს ფეხბურთის „მინდორი“. გუშინწინ აქ გაიმართა პირველი ამხანაგური მატჩი ადგილობრივ „ზენიტსა“ და სსრ კავშირის კლუბების ნაკრებს შორის. ანგარიშით 5:1 გაიმარჯვა ნაკრებმა, რომელიც ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: გონტარი (რადაევი), კრუგლოვი, შეფცოვი (ჩორბა), პაროვი (ხინჩაგაშვილი), ოლშანსკი, სუჩილინი, დოლმატოვი (ბერეგნოი), ტარხანოვი, სლობოდიანი (კაზაჩინოკი), მ. მაჩაიძე, ჩესნოკოვი.

მუნაპაში მიმდინარეობს ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპის ჩემპიონი საბჭოთა ნაკრებიც ასპარეზობს. ჩვენმა ფეხბურთელებმა წააგეს იტალიის გუნდთან — 0:1 და ახლა მესამე ადგილისათვის იბრძოლებენ იუგოსლავიელებთან. ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან იტალიისა და გფრ-ის გუნდები. ტურნირი ექსპერიმენტალური წესებით მიმდინარეობს (აუტის ნაცვლად ინიშნება თავისუფალი დარტყმა, კუთხურს აწყდიან იმ ადგილიდან, საიდანაც ბურთმა გადაკვეთა პირიოი ხაზი, ცხადია, გარდა საჯარიმო მოედნისა და ა. შ.).

ცსკა-ს და სსრ კავშირის ნაკრების მეკარე, 30 წლის ვლადიმერ ასტაპოვსკი ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქციამ სეზონის საუკეთესო მეკარედ დასახელა.

ნიგერიის კორტებზე

ჩიბბურნი. საბჭოთა ოსტატები წლევანდელ საერთაშორისო სეზონს ნიგერიის კორტებზე ამთავრებენ. აქ ქალაქ ბენინში 21 ნოემბერს იწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ჩვენი გუნდის ღირსებას დაიცავენ ევროპისა და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, უიმბლდონის 1973 წლის ტურნირის ფინალისტი, თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი, ჩვენი ქვეყნის მეორე ჩოგანი თეიმურაზ კაკულია (თბილისი), რამაზ სხმეროვი (ბაქო) და ელენე გრანატუროვა (მოსკოვი). საბჭოთა ჩოგბურთელებს არაერთგზის უთამაშიათ ნიგერიაში, ხოლო ე. გრანატუროვა 1974 წელს ქვეყნის ღია ჩემპიონატში გამარჯვებულიც გამოვიდა.

ა. კალანდაძე

ერეკლე ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი არქეოლოგი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე ნესტორის-ძე კალანდაძე** — საბჭოთა საქართველოში დიდ არქეოლოგიურ საძიებოთა ერთ-ერთი დამწყები და თვალსაჩინო ორგანიზატორი. ალ. კალანდაძე დაიბადა 1909 წელს სოფელ ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი). საშუალო განათლება ფოთში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

1933-1937 წლებში ალ. კალანდაძე სწავლობდა ლენინგრადში, ასპირანტი იყო თვალსაჩინო მეცნიერების — ნ. მარის, ი. მეშჩანინოვის, ვ. სტრუვეს და ა. ორბელის ხელმძღვანელობით მუშაობდა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის პრობლემებზე. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტშია, აგრეთვე საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტში მოღვაწეობს.

ალ. კალანდაძე დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო დაწყებიდან მის დამთავრებამდე, ფრონტზევე მიიღეს სკკპ რიგებში.

1945 წლის ოქტომბრიდან ალ. კალანდაძე დაუბრუნდა სამეცნიერო და საველე-არქეოლოგიურ საქმიანობას, ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, 1951 წლიდან კი კვლავ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა, სადაც გარდაცვალებამდე ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილების პირველი და უცვლელი ხელმძღვანელი იყო. პროფესორი ალ. კალანდაძე, იყო ნიკოლოზ მარის ინსტიტუტის ენიმდელი ალმომჩენი საქართველოში — ხელმძღვანელობდა ფონის ძრავალფენოვანი მდვიძური ნამოსახლარის არქეოლოგიურ გათხრებს, რომლის შედეგები დღეს ფართოდ არის ცნობილი. ასევე დიდი მეცნიერული მხიმველობისა ალ. კალანდაძის ხელძღვანელობით განხორციელებული გათხრები სოხუმში, ყაყლუბოში...

მცხეთის არქეოლოგიური ალმოჩენები ალ. კალანდაძის ხელთან არის დაკავშირებული, იგი იყო ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას თანამონაწილეობით მცხეთაში წამოწყებული დიდი არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და თანაავტორი ფუნდამენტური მონოგრაფიისა — „მცხეთა 1“. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი მუშაობდა სამთავროს სამარეოს გათხრასა და ამ მოპოვებული მასალის მეცნიერულ პუბლიკაციაზე, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიის დიდმნიშვნელოვან ძეგლად არის აღიარებული. განსვენებული თანაავტორია „საქართველოს არქეოლოგიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსი, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველი ტომისა, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

თვალსაჩინო მეცნიერის, საუცხოო პედაგოგისა და სპეციალიზტ მოქალაქის ალ. კალანდაძის ხსოვნას მუდამ სათუთად შეინახავენ მისი კოლეგები, მეგობრები და მოწაფეები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი; საქართველოს საისტორიო საზოგადოება.

ცეკვის ეუხი და სილამაზე

გასტროლები და შთაბეჭდილებები

როგორც ცნობილია, თბილისში კონცერტებს მართავს თურქეთის ეროვნული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა საქართველოს სახელმწიფო ანსამბლის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს **ნინო რამიშვილს** სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი ანსამბლის კონცერტებზე.

აი რა თქვა მან:

თბილისში თურქეთის ეროვნული ცეკვის ანსამბლის კონცერტების გამო

□

მართალია ანსამბლი ახალგაზდაა, მისი დაბადების თარიღად 1976 წლის მაისი ითვლება, როცა კოლექტივმა პირველი კონცერტი ანკარაში გამართა, ძაგრამ მან დამსახურებულად მოიპოვა პოპულარობა. თამამად შეიძლება თქვას, რომ დღეს თურქ ხალხს ამ ანსამბლის სახით ჰყავს ეროვნული ფოლკლორის ძაღალი პროფესიული დონის ჩინებული პოპულარიზატორი.

ანსამბლი თავისი ხელოვნებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ცეკვები თუ ქორეოგრაფიული სცენები კარგად ასახავს თურქი ხალხის მდიდარ ხალხურ შემოქმედებას, რაც უდავოდ კოლექტივის ხელმძღვანელთა კარგ გემოვნებაზეც მეტყველებს. მათ წარმოგვიდგინეს ათი სხვადასხვა რაიონისათვის დამახასიათებელი კოლორიტული ქორეოგრაფია.

ცეკვები სრულდება თურქული ხალხური სიმღერებისა და საკრავების თანხლებით და ყოველივე ეს ისე კარგად ერწყმის ერთმანეთს, რომ ძნელია რომელიმე ნომრისათვის უპირატესობის მინიჭება. თურქული ხალხური მელოდიები მდიდარი და მრავალფეროვანია რიტმებით. ეს ისახება ცეკვებშიც.

შაიზოვისპირთის რაიონებში ჯაფრეელებული ცეკვები გამოირჩევა მოძრაობათა სიუხვით, ტემპერამენტით, მაშინ როცა ხმელთაშუა ზღვის ნბარის ცეკვები უფრო თავშეკავებული, გახსნაეებული ხასიათისაა.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ყოფით თემატიკაზე აგებული ცეკვები. მაგალითად, სილეკქეს ახოის ხალხთა ცეკვა კოზეებით სრულდება და ძირითადად გამოხატავს ანატოლიის მცხოვრებთა ყოველდღიურ საქმიანობას. ყოველივე ეს პლასტიკის საშუალებით ისე კარგად სრულდება, რომ ემაყოფილებას ვერ ვძალავ.

ვფიქრობ, ქართველი მაყურებლისათვის უადრესად საინტერესო იყო ხორონის (ხორუმის) ტიპის ცეკვების გაცნობა, რომლეიც შაიზოვისპირეთის რაიონებშია გავრცელებული. ჩვენთან მეზობლობამ, გეოგრაფიულმა სიახლოვემ, ამ ცეკვებში ხაძდეილად პოვა ასახვა. შეიმჩნევა საერთო ნიშნები — ლაზური, აჭარული ილეთებით. მსახიობები ოსტატურად ასრულებენ ამ მოძრაობებს. ოღონდ ჩვენებურ ხორუმში მეტი ძრაობა, რაინდული სული იგრძნობა, სტუმრების მიერ წარმოდგენილ ცეკვებს კი საბუმარო, ყოფითი ელფერი დაკარგეს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ცეკვა სანოლეთი, შავიზღვისპირელი გოგონებისა და ვაჟების ცეკვა, მშვენიერი კოსტიუმები.

თურქული ეროვნული ცეკვის ანსამბლის ხელოვნებასთან შეხვედრამ, რომელიც ანარეკლია საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის შორის დადებული კულტურული შეთანხმებისა, ნამდვილად დიდი საამოვნება მოგვგარა ქართველ მაყურებელს.

სურათებზე: ზემოთ — ლაზი მუხიკოსი აჰმედ ბირგული; ქვემოთ მარცხნივ — ართვინელ ქალთა ცეკვა, მარჯვნივ — ერზურუმელ ვაჟთა ცეკვა.

ხ. ბზლაძის ფოტო.

შეხვედრა 40 წლის შემდეგ

გვიანი შემოდგომის ცივი დღე იდგა. ქაღარა ყაცმა ავტობუსის მძღოლს მექანიზაციის ფაკულტეტის შენობასთან გაჩერება სთხოვა, მაღლობა გადუხადა და სწრაფი, მოუთმენელი ნაბიჯით ქვეშმოდ დაეშვა. გულმა მიგრძნო, ჩვენ ერთი გზა გვქონდა...

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის შენობაში ნიადაგდასამუშავებელი მანქანების კათედრის გამგე პროფესორი მიტროფანე გუგუშვილი შემოგვხვდა. სიხარულისგან თვალები ცრემლებით ავსებოდა — „დიახ, მართალა, ბედნიერი დღე გვაქვს, ორმოცი წლის წინათ ექანიზაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ერომანეთს ვხვდებით“.

აუდიტორია სავსეა მოსულებით! ჭაღარათმიანებით. მეგობრებთან სიუბრით გართულ ჩემს თანამგზავრსაც მოგეკარა თეალი, სტუდენტურ მერხებს მისხდომიან სამოც წელს გადაცილებული ინჟინერ-მექანიზატორები.

რა დრო გასულა... როგორ შეცვლილან, მოგონებთა ფურცლებს დაუფარავს მათი სახეები... თუმცა მერე რა, რომ თმაში ჭაღარა მოსძალებია, ისიც არაუერს ნიშნავს თანაკურსელთა შორის ყველაზე უფროსი რომ თვითონ ბატონი, რომ საქინფორმიდან ოცი წლის ბიბუკი გამოვარდა, ხელი დასტაცა მახლობლად მოგდებულ აგურს, ენოთეატრის ეზოში დაბრუნდა და იქვე მდგომ მეხანძრეს ესროლა. საბედნიეროდ, ხულიგანმა აგური აიცდინა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ახალგაზრდის ხელში დანამ გაიელვა. მას ოთხმა რაზმელმა სტაცა ხელი...

დავით ნატროშვილი, ომარ ჯიკელაშვილი, გიორგი შვარცი, გურამ ფაღავა — საქართველოს კვების მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები — ინსტიტუტის რაზმეულის წევრები არიან.

მილიციამ გამოიკვლია, რომ მეხანძრის ენთოეატრიდან გამოყვანა ეს ახალგაზრდა, რომელიც პაპიროსს ეწეოდა.

ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს შემთხვევა, რაზმელებს რომ დროზე ერ აღმოეჩინათ იგი.

(საქინფორმი).

გმირი კომკავშირელის ძეგლი

ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც უკრაინის ქალაქ როვნოშჩეს განთავისუფლებისათვის გმირულად დაიღუპა კომკავშირელი კოტე შილაკაძე. ქართველი ჭაბუკი საძტრედიის **რაიონის** სოფელ ეწყვრდან იყო.

ამ დღეებში ჩვენს ქალაქში გმირი კომკავშირელის კოტე შილაკაძის სახელის უკვდავსაყოფად დაიდგა ძეგლი, რომლის გახსნის **გამო** გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელსაც ესწრებოდა საქართველოდან ჩამოსული გმირის და ჯანიკო შილაკაძე-ლეჟავა.

დამსწრეთი გულთბილად შეხვდნენ გმირის დის ჯ. შილაკაძის გამოსვლას.

გაისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია და საბურველი ეხსნება მოძძე ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის კოტე შილაკაძის ფიგურას.

კოტე შილაკაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ ლამაზ ქუჩას მისი სახელი მიენიჭა, ხოლო ქალაქის საშუალო სკოლაში არის მისი სახელობის პიონერული ორგანიზაცია.

ო. მალინოვსკი,
გადამდგარი მაიორი,
ქ. როვნოშჩე, უკრაინის სსრ.

დანაშაულის კვალდაკვალ

ჯამით საქათმეში

თეთრი წყაროს რაიონის კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის დარაჯმა მ. გეორგაშვილმა გადაწყვიტა გაეხარებინა თავისი მეგობარი — ამავე ფაბრიკის ზინკალი ტ. ოგანოზაშვილი:

— საფრინველეში, რომელსაც მე ვდარაჯობ, ბსუქანი დედლები გვყავს, საღამოს შემოიარე და წაიყვანე.

ოგანოზაშვილმა შეიამბანაგა კოდის საბჭოთა მეურნეობის შოფერი ლ. ჩიტუაშვილი და თეთრი წყაროს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის საწინააღმდეგო ექსპედიციის მუშა რ. პაპაშვილი.

ღამით დარაჯმა მ. გეორგაშვილმა ჩაკრა სინათლე ფაბრიკის ტერიტორიაზე, ხოლო მისმა კომპანიონებმა ტომარაში ჩასვეს ოცამდე ქათამი და უკვე აპირებდნენ ქათმებით სავსე ტომრის დადებას ლ. ჩიტუაშვილის მანქანაზე, რომ უეცრად ქურდები შეეშინა ფაბრიკის მორიგე ინჟინერმა ო. ყვავილაშვილმა.

თეთრი წყაროს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების დახმარებით დაშნაშავენი დაიკავეს.

□

რაზმელებმა მიუსწრეს

ლამის ათი საათი იქნებოდა, როცა კინოთეატრ „გაზაფხულიდან“ ოცი წლის ბიბუკი გამოვარდა, ხელი დასტაცა მახლობლად მოგდებულ აგურს, კინოთეატრის ეზოში დაბრუნდა და იქვე მდგომ მეხანძრეს ესროლა. საბედნიეროდ, ხულიგანმა აგური აიცდინა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ახალგაზრდის ხელში დანამ გაიელვა. მას ოთხმა რაზმელმა სტაცა ხელი...

დავით ნატროშვილი, ომარ ჯიკელაშვილი, გიორგი შვარცი, გურამ ფაღავა — საქართველოს კვების მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები — ინსტიტუტის რაზმეულის წევრები არიან.

მილიციამ გამოიკვლია, რომ ეხანძრის კინოთეატრიდან გამოყვანა ეს ახალგაზრდა, რომელიც პაპიროსს ეწეოდა.

ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს შემთხვევა, რაზმელებს რომ დროზე ერ აღმოეჩინათ იგი.

(საქინფორმი).

ფაქტი და კომენტარი

კბილი რომ არ აგვტკივდეს

მოსკოვის ზოგიერთ სკოლაში ბავშვებს კბილებზე სპეციალური ლაქი წაუსვეს. როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა მოზარდთა შორის კარიესით დაავადების რიცხვი 60 პროცენტით შემცირდა. სტომატოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ ანატოლი ივანეს-ძე რიბაკოვს „პრავდის“ კორესპონდენტმა ი. იუსინმა სთხოვა განემარტა ეს ფაქტი. **აი რა თქვა მან:**

— სტომატოლოგები განაგრძობენ კარიესის — კბილის ყველაზე გავრცელებული დაავადების — თავიდან აცილების ეფექტიან საშუალებათა ძიებას. ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ისევე, როგორც ზოგიერთი ქვეყნის მეცნიერებმა, დადგინეს, რომ კარიესით რამდენიმე დაავადების გამო შეიძლება განვითარდეს რემატიზმი, ნეფრიტი, კუპნაწლავის ამლილობაც.

სტომატოლოგთა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ამ ბოლო დროს კარიესი სულ უფრო ხშირად ბავშვების კბილებს აზიანებს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კარიესი მოსწავლეთა 90 პროცენტს აღმოაჩნდა. დაავადების წარმოშობის მიზეზების ახსნისას სპეციალისტები ერთნაირ აზრს გამოთქვამენ:

ავადმყოფობის სიხშირე უფრო მეტად დამოკიდებულია კვებაზე, კერძოდ, რაფინირებული შაქრის შემცველი პროდუქტების გამოყენებაზე. ვიტამინებში, ისევე როგორც ძირითადი მინერალური ნივთიერებებისა და ქიმიური ელემენტების ნაკლებობა მეასედი, მეათასედი და მემილიონედი პროცენტითაც კი კბილების დემინერალიზაციის მიზეზია. სწორედ ამას მოსდევს კარიესი.

„მარგებელი ლაქის“ რეცეპტურის შექმნის იდეა ახლა როდი გაჩნდა. ექიმები დიდი ხანია გვირჩევენ პროფილაქტიკური მიზნით ადამიანის ორგანიზმში შეგიყვანოთ ფთორი, რომელიც კბილის მინანქრის ხსნადობას ამცირებს. ამ ქიმიური ელემენტის შეყვანის ყველაზე გავრცელებული ელემენტია სასმელი წყლის ფთორიზაცია.

ჩვენი ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეიმუშავეს ფტორშემცველი ლაქის რეცეპტურა. ამ ბოლო წლებში ამ სამკურნალო პრეპარატმა ექსპერიმენტული კვლევა გაიარა სტომატოლოგიის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში, პროფესორ ვ. ვ. პანიკაროვსკის ლაბორატორიაში. მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. ი. ლაგუტინამ ორი ათასამდე ბავშვი შეამოწმა, რომელებსაც კბილებზე ასეთი ლაქი წაუსვეს. გამოირკვა, რომ 12 წლამდე ასაკის ბავშვებს კარიესით დაავადება 53-57 პროცენტით შეუმცირდათ.

ლაქი კბილებზე შეიძლება წაუსვათ ბავშვებს ექვსი წლის ასაკიდან. ამ პროცედურის მეთოდიკა მარტივია: მედიცინის და ექიმის მეთვალყურეობით ბავშვს კბილებს გაუხეხავს ჩვეულებრივი პასტით, შემდეგ ტამპონით წაუსვამს „წამალს“. ფთორწარმომქმნელი ლაქი ერთ წუთში შრება. კბილების დამუშავების დროს ბავშვებს არავითარი უსიამოვნო შეგრძნება არა აქვთ.

რა მოსდის კბილებს ლაქის წასმის შემდეგ? გაივლის 20 საათი, და მინანქარში წარმოიშობა მეალემედეგი ზონა, ფთორი მინანქარში აღწევს და ძალიან მაგარ აფსკს ქმნის.

პროცედურას ხუთი წუთი სპირდება — და ლაქი ნახევარ წელიწადს იცავს საღ კბილებს.

გასტროლიორი

ბაბა ბერიძე, ბ. ბერიძე, ბ. ბერიძე, ბ.